

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ხატვის ღია კონკურსის „ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტი“ შესახებ

### განმცხადებელი:

საქართველოს ეროვნული ბანკი, მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N2. ცხელი ხაზი: (995 32) 2 406 406, ელ-ფოსტა: [info@nbg.ge](mailto:info@nbg.ge), ვებ-გვერდი: [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

### კონკურსის მიზანი:

საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ფინანსური განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, 2018 წელი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ „ფინანსური განათლების წლად“ გამოცხადდა.

ახალგაზრდა თაობაში ფინანსური განათლების გავრცელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც სწორედ ადრეული ასაკიდანვე მიღებული ცოდნა და განვითარებული ჯანსაღი ქვევები და დამოკიდებულებები დაეხმარება ახალგაზრდებს მიიღონ სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები, ჩამოყალიბდნენ პასუხისმგებლიან მომხმარებლებად და იზრუნონ საკუთარ ფინანსურ კეთილდღეობაზე.

ახალგაზრდა თაობაში ფინანსური განათლების გავრცელების მიზნით, ეროვნული ბანკი, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ყოველწლიურად ერთვება „გლობალური ფულის კვირეულში“, რომელიც, საერთაშორისო ორგანიზაცია Child and Youth Finance International-ის (CYFI) ორგანიზებით, მსოფლიოს მასშტაბით 130-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება, და რომლის ამოცანასაც სწორად ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო საკითხების პოპულარიზება წარმოადგენს როგორც ახალგაზრდებში, ისე მათ მშობლებში.

2018 წლის „გლობალური ფულის კვირეულის“ ფარგლებში, რომელიც 12-დან 18 მარტის ჩათვლით გრძელდება, ახალგაზრდა თაობის ფინანსური საკითხებით დაინტერესების, ასევე, ახალგაზრდებში ქართული ფულის ისტორიის, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ დიალოგის წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, გადაწყვიტა II-VII კლასის მოსწავლეებისთვის ქართული ფულის თემაზე ხატვის ღია კონკურსი მოაწყოს, სახელწოდებით „ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტი“. კონკურსის ფარგლებში მონაწილეები შეძლებენ ნახატების მეშვეობით წარმოაჩინონ საკუთარი ხედვა, მოსაზრებები და დამოკიდებულება ქართული ფულისა და ზოგადად, ფინანსური საკითხების მიმართ და დაფიქრდებიან შემდეგ შეკითხვაზე: როგორი მინდა, რომ იყოს ქართული ფული?

ქართული ფულის თემაზე ხატვის ღია კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ თანდართული პირობების მიხედვით:

**კონკურსის ტიპი:** ღია კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქვეყნის მასშტაბით II-VII კლასის ნებისმიერ მოსწავლეს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ საკონკურსო პირობებს და წარმოადგენს ნამუშევარს დადგენილ ვადებში.

## კონკურსის პირობები:

### საკონკურსო პროექტის აღწერილობა

კონკურსსანტს მოეთხოვება ხატვის კონკურსისთვის ნამუშევრების მომზადება-წარმოდგენისას გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

1. კონკურსის თემაა ქართული ფული.
2. კონკურსსანტმა უნდა დახატოს და საკუთარი სკოლის ადმინისტრაციასთან წარმოადგინოს ჩამოთვლილთაგან **მინიმუმ** ერთი ნამუშევარი:
  - მიმოქცევაში არსებული რომელიმე ქართული ბანკნოტი (მაგ. 5 ლარი, 10 ლარი, ა.შ.) არსებული დიზაინით;
  - მიმოქცევაში არსებული რომელიმე ქართული ბანკნოტი (მაგ. 5 ლარი, 10 ლარი, ა.შ.) საკუთარი დიზაინით;
  - მიმოქცევაში არსებული რომელიმე ქართული მონეტა (მაგ. 1 თეთრი, 20 თეთრი, ა.შ.) არსებული დიზაინით;
  - მიმოქცევაში არსებული რომელიმე ქართული მონეტა (მაგ. 1 თეთრი, 0 თეთრი, ა.შ.) საკუთარი დიზაინით.
3. კონკურსსანტმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხელმოწერის ადგილას უნდა განათავსოს საკუთარი ხელმოწერა.
4. მხატვრული შესრულების მოთხოვნები:
  - დიზაინი უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო ელემენტებს:
    - ვალუტის დასახელებას ქართულ ენაზე და ნომინალურ ღირებულებას ციფრებით - მაგ. „5 ლარი“, „10 ლარი“, „1 თეთრი“, და ა.შ.
    - ემიტენტი ქვეყნის დასახელებას ქართულ და ინგლისურ ენებზე - „საქართველო“ „Georgia“;
    - გამოშვების წელს - „2018“;
    - ბანკნოტისთვის: ლარის სიმბოლოს-„ლ“; მონეტისთვის: ლარის სიმბოლოს-„ლ“ ან სიტყვას - „თეთრი“;
    - კონკურსსანტს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს და დიზაინში გამოიყენოს ნებისმიერი დამატებითი ესკიზი, წარწერა, სიმბოლო და ა.შ.
5. ტექნიკური შესრულების მოთხოვნები:
  - საკონკურსო ნახატები უნდა შესრულდეს მინიმუმ A4 ზომის ფურცელზე/ტილოზე.
  - ნახატის შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მასალა - აკვარელი, ზეთის საღებავი, ფანქარი, ფლომასტერი, და ა.შ.

### ნაშრომების საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენის ფორმა და ვადა:

1. კონკურსსანტმა, არაუგვიანეს 28 თებერვლისა საკონკურსო მასალა უნდა წარმოადგინოს საკუთარი სკოლის ადმინისტრაციაში თანდართულ განაცხადთან ერთად, რომელიც არ უნდა იყოს მოცემული იმავე ფურცელზე, რომელზეც ნახატია, და რომელიც უნდა შეიცავდეს: კონკურსსანტის სახელს და გვარს, პირად ნომერს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მშობლის სახელს და გვარს, კონკურსსანტის ასაკს, კონკურსსანტის მისამართსა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.
2. თითოეულმა სკოლამ მოსწავლეებისგან შეკრებილი მასალიდან 4 საუკეთესო ნამუშევარი (სავალდებულოა, რომ ამ 4 ნამუშევრიდან 1 ან 2 ნამუშევარი იყოს მონეტა) უნდა ჩააბაროს შესაბამის რესურსცენტრს არაუგვიანეს 7 მარტისა, რომელიც, თავის მხრივ, შეგროვებულ მასალებს ჩააბარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს არაუგვიანეს 13 მარტისა.

3. სკოლებიდან მიღებულ ნამუშევრებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიაწვდის ეროვნულ ბანკს.

**ნამუშევრების განხილვისა და გამარჯვებულების გამოვლენის ვადები და პირობები:**

1. საკონკურსო ნამუშევრების განხილვა და 20 გამარჯვებული ნახატის გამოვლენა მოხდება 12-18 მარტის კვირაში კომპეტენტური ჟიურის მიერ, რომელშიც შევლენ საქართველოს ეროვნული ბანკისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები და მოწვეული ექსპერტები.
2. გამარჯვებული ნამუშევრები დაიბეჭდება საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის წლიურ ანგარიშში; ნამუშევრები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ეროვნული ბანკის სხვა პროექტებში და/ან გამოცემებში.
3. გამარჯვებული ნამუშევრების გამოფენა მოხდება ეროვნული ბანკის ფოიეში.
4. გამარჯვებულ ახალგაზრდებს 12-18 მარტის კვირაში ეროვნული ბანკი უმასპინძლებს ყვარელში, ფულის მუზეუმში, სადაც ბავშვები გაეცნობიან ფულის ისტორიას, მოისმენენ საინტერესო ლექციას ფინანსური განათლების თემაზე და მიიღებენ სიმბოლურ საჩუქრებს.

ინფორმაცია განახლებული ქართული ლარის შესახებ შეგიძლიათ ეროვნული ბანკის მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ ვებგვერდზე იხილოთ: <http://ganakhlebulilari.ge/>.

ამას გარდა, საინტერესო ფაქტები ქართული ბანკნოტებისა და მონეტების შესახებ შეგიძლიათ ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდზე მოიძიოთ:

<https://www.moneymuseum.nbg.gov.ge/main.php>